სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომიოს ოქმი

ოქმი N1

დ.მესტია 11 /04/2014 წ

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- *კომისიის თავმჯდომარე:*
  - *გოჩა ხორგუანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე;
- კომისიის წევრები:
  - *კაპიტონ ჟორჟოლიანი*– მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
  - *ვახტანგ ნაკანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;
  - *მაიზერ ჯაფარიძე* – მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ;
  - *თემურ ნავერიანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი ;
- *კომისიის აპარატის წევრები:*
  - *მარიამ ნაკანი* - მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის 04 აპრილს გამოცხადებული

N 1195კონკურსი.

სოფ. უშგულის ამბულატორიის საძირკვლისა და მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწყობის

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–ზე განაცხადი შემოიტანა ერთმა პრეტენდენტმა.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსანტის ი/მ „მალხაზ ფანიანი"–ს მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ კონკურსანტის ი/მ „მალხაზ ფანიანი"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, საგადასახადო დავალება და თანდართული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე–6 მუხლით" განსაზღვრულ მონაცემებს.

ი/მ „მალხაზ ფანიანი“–ს მიერ წარმოდგენილი იყო კონვერტზე დაკრული ქვითარი კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებლად. კონვერტში მოთავსებული იყო რეკვიზიტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკონკურსო წინადადება. საკონკურსო თანხა თავდაპირველად 500 ლარი იყო ხოლო კონკურსანტმა წინადადებაში დააფიქსირა 500 (ხუთასი) ლარი.

კომისიამ დაადგინა:

კომისიამ დაადგინა,რომ ი/მ „მალხაზ ფანიანი“–ს გამოვლინდეს გამარჯვებულად N1195 კონკურსში თანხით 500 ლარი, გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება ,ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდრულ დღეში კონკურსანტმა, უნდა წარმოადგინოს დასრულებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის შემდგომაც გაფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე: გ.ხორგუანი

კომისიის წევრები: კ.ჟორჟოლიანი

ვ.ნაკანი

მ.ჯაფარიძე

თ.ნავერიანი

კომისიის აპარატის წევრები: მ.ნაკანი